

Romanticism in Literature: On the Crossroad of Époques and Cultures

Ed. By Irma Ratiani

რომანტიზმი ლიტერატურაში: ეპოქების და კულტურების გზაჯვარედინზე

რედაქტორი: **ირმა რატიანი**

გამომცემლობა: Scholar's Press, 2018

რომანტიზმი ევროპულ ლიტერატურაში გავრცელდა და ევროპული და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო. რომანტიზმით დაიწყო ლიტერატურული პროცესი ბევრ ევროპულ და არაევროპულ ქვეყანაში. თუმცა რომანტიზმისთვის დამახასიათებელი საერთო ესთეტიკური საზღვრები ყოველთვის მნიშვნელოვნად კორექტირდებოდა რეალური ისტორიული საზღვრებით, რაც უპირველესად, გულისხმობდა ნაციონალური სივრცის თავისებურებებს, სპეციფიკურ ისტორიულ, კულტურულ და ენობრივ გამოვლინებებს. ქართული ლიტერატურა მნიშვნელოვნად იყო ჩართული ამ პროცესში. ქართველი რომანტიკოსი პოეტის, ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში არა მხოლოდ აისახება ძირითადი ესთეტიკური პრინციპები, რომლებიც ევროპული და მსოფლიო რომანტიზმისთვისაა დამახასიათებელი, არამედ მათ ეროვნული თვითშეგნების და ტრადიციების იდეასთან აკავშირებს, რაც აფართოებს რომანტიზმის გეოგრაფიულ რუკას. აღნიშნული კრებული მოიცავს ნაშრომებს, რომლებიც წარმოდგენილი იყო რომანტიზმისადმი მიძღვნილ XI საერთაშორისო სიმპოზიუმზე.

Essays on Georgian Literature

by Irma Ratiani

ირმა რატიანი

ესეები ქართულ ლიტერატურაზე

გამომცემლობა: Pwn (Polish Scientific Publishers), 2018

2018 წელს, ინგლისურ ენაზე გამოიცა ირმა რატიანის სამეცნიერო წიგნი „ესეები ქართულ ლიტერატურაზე“, რომელიც წარდგენილი იყო ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე. წიგნში განხილულია რამდენიმე ქართველი ავტორის შემოქმედება ტექსტის თანამედროვე თეორიების ჩრილში. მკითხველს საშუალება ეძლევა, საერთაშორისო ლიტერატურული პროცესებისა და ტენდენციების ჩრილში, წაიკითხოს ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე ყაზბეგის, მიხეილ ჯავახიშვილის, რევაზ ინანიშვილის შემოქმედება.

მეცნიერი ახალ ხედვებს სთავაზობს მკითხველს, მათ შორის: გამოკვლეულია გზის მოდელის მეტაფორიზების ხერხები და კონცეპტუალური დანიშნულება ილია ჭავჭავაძის პროზაში; ალექსანდრე ყაზბეგის თხზულება „ხევისბერი გოჩა“ წაკითხულია ანტიკური ტრადიციის სქემით, ხოლო თავად

მწერლის სამწერლობო სტილი შედარებულია ანტიკური ეპოქის ტრაგიკოსების სამწერლობო სტილთან; მიხეილ ჯავახიშვილის რომანი „ჯაყოს ხიზნები“ გაზრებულია ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში აქამდე არსებული პოზიციისგან განსხვავებულ ჭრილში - რომანი იდენტიფიცირებულია არა როგორც სოციალური ან პოლიტიკური ტექსტი, არამედ როგორც მოდერნისტული ძიებებით დატვირთული ნარატივი, სადაც მწერალი უზადო ოსტატობით წარმოაჩენს მთავარი პერსონაჟის ჯერ გაუცხოებას რეალურ დროსთან, შემდეგ კი - გამარჯვებას მასზე. პარადიგმა – „ნაკაცარიდან შიო მღვიმელამდე“ წიგნის ამ თავის მთავარი სლოგანია; დაბოლოს, წიგნში საგანგებო თავი ეთმობა რევაზ ინანიშვილს, როგორც ნოველის ჟანრის კლასიკოსს, რომელიც ფლობს და იყენებს ამ ჟანრისთვის ნიშანდობლივ ყველა არსებით ხერხს.

ახალი ნაკითხვები ამ წიგნის მთავარი ღირსებაა.

**The Left Hemisphere
Mapping Critical Theory Today
by Razmig Keucheyan**

რაზმიგ კუჩეიანი

მარცხენა ნახევარსფერო

კრიტიკული თეორიის ადგილისთვის დღეს

გამომცემლობა: Verso, 2019

კაპიტალიზმის კრიზისთან ერთად, ალტერნატივის საჭიროება კიდევ უფრო მძაფრდება. რადიკალურ მოძრაობებს შორის ბრძოლა სულ უფრო დაუნდობელი ხდება. ყველაზე მნიშვნელოვანი ბრძოლის ველი, სადაც კრიზისიდან გამოსავალი ნაწილობრივ უნდა მოგვარდეს, თეორიის სფეროა. უკანასკნელი ოცდახუთი წლის მანძილზე, რადიკალური ინტელექტუალები მნიშვნელოვან და ინოვაციურ იდეებს ავითარებდნენ. ამ მიდგომებს აერთიანებდა სამყაროს გარდაქმნის სურვილი, წარსულის შეცდომების განმეორების თავიდან აცილების გათვალისწინებით. ეს წიგნი გათვლილია სპეციალისტებზეც და ფართო მკითხველზეც, ვინც თანამედროვე კრიტიკული აზრითაა დაინტერესებული. აქ წარმოდგენილი ყველა კონტინენტის ოცდაათი ავტორი და მათი ნააზრევის ანალიზი, ჟაკ რანსიერით და სლავოი ჟიჟეკით დაწყებული, ერნესტო ლაკლაუთი და ფრედრიკ ჯეიმსონით დამთავრებული.

რამაზ ჭილაიას

პოეტიკური ჩანაწერები

გამომცემლობა: პალიტრა

„ჭრელი ფრაგმენტები“ სხვადასხვა დროს, განსხვავებული სააზროვნო აქტივობისას ჩანიშნული ნაკვეთებისგან შედგება, განსხვავებულ საკითხებს

ეხმიანება. ზოგიერთი ნაწილი გამოქვეყნებულია. წიგნი აგებულია ერთგვარი „პაზლის“ პრინციპით და ნაწილების მისადაგებით, შესაძლებელია მთლიანი სურათ-ხატის შედგენა.

ედუარდ კრეიგი

ფილოსოფია – ძალიან მოკლე შესავალი

მთარგმნელი: ანინა ტეფნაძე

გამომცემლობა: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2019

როგორ უნდა ვიცხოვროთ? რა არსებობს? როგორ შეგვიძლია, რამე ვიცოდეთ? ეს წიგნი იდეალური გზამკვლევა ყველასთვის, ვინც ერთხელ მაინც დაფიქრებულა, რას ემსახურება ფილოსოფია. ედუარდ კრეიგი ამტკიცებს, რომ ფილოსოფია უცხო პლანეტიდან არ მოსულა: მისი სწავლა მხოლოდ იმის განმტკიცებასა და გაღრმავებას ემსახურება, რაც ისედაც ვიცით. იგი გვიჩვენებს, რომ ფილოსოფია მხოლოდ ინტელექტუალების გასართობი როლია: პლატონის, ბუდისტი მწერლების, დეკარტის, ჰობსის, იუმის, ჰეგელის, დარვინის, მილისა და სიმონ დე ბოვუარის მსგავსი მოაზროვნეები რეალურ საჭიროებებსა და მოვლენებს პასუხობენ – მათი ნააზრევი ჩვენს ცხოვრებას ახლაც ცვლის და დღესაც გვანუხებს საკითხები, მათ რომ აღელვებდათ. ედუარდ კრეიგი კემბრიჯის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორია. მისი წიგნებიდან აღსანიშნავია „ღმერთის გონება და ადამიანის შემოქმედება“ (1987) და „ცოდნა და ბუნებითი მდგომარეობა“ (1990).

თემურ გაბუნია

ჯოისის ლაბირინთი

გამომცემლობა: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2018

თემურ გაბუნიას „ჯოისის ლაბირინთი“ იმ მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოგვითხრობს, რომელიც გამოცანად რჩებოდა თაობებისთვის. ავტორი ეყრდნობა სხვადასხვა წყაროს, უმთავრესად კი რიჩარდ ელმანის ბიოგრაფიულ თხზულებასა და ჯოისის პირად წერილებს.

თემურ გაბუნიას კვლევის მიზანია „ულისე“ გაანალიზდეს, როგორც „სხეულის ნაწილების შესახებ დაწერილი ეპოსი“. ავტორი ჯეიმზ ჯოისის შემოქმედებას განიხილავს სხვადასხვა ეპოქის მწერალთა – დანტე ალიგიერის, ჯოვანი ბოკაჩოს, თომას მანისა და სხვათა – შემოქმედების ფონზე. ეს კვლევა ჯოისის ამოუცნობი სამყაროსა და „ულისეს“, როგორც რომანი-მისტერიის, ახალი კუთხით გადააზრების მცდელობაა.

A Companion to Literary Theory**Ed. By David H. Richter****ლიტერატურის თეორიის გზამკვლევი****რედაქტორი: დევიდ რიჩტერი**

გამომცემლობა: Wiley-Blackwell, 2018

წიგნი მკითხველს გასული საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურის და კულტურის შესწავლის მოდელს სთავაზობს. მასში შესულია ცნობილი მკვლევარების მიერ დაწერილი 36 ესე, რომლებშიც წარმოდგენილია ლიტერატურისა და კულტურისადმი მათეული თანამედროვე მიდგომები. წიგნი დაყოფილია თემებად და არა ქრონოლოგიური თვალსაზრისით, რითაც გამოკვეთს ადრეული პერიოდის და უახლესი თეორიული კვლევების მიმართებას. აქ მკითხველი იხილავს შვიდ თავს: ლიტერატურული ფორმები: ნარატივი და პოეზია; კითხვის ამოცანა; ლიტერატურული ადგილები და კულტურის კვლევები; ლიტერატურის პოლიტიკა; იდენტობა; სხეული და გონება; მეცნიერული მსჯელობა. თავები ეხება ისეთ თემებს, როგორცაა: ანგლო-ამერიკულ ახალ კრიტიკას, ჩიკაგოს ფორმალისტების სკოლას, რუსულ ფორმალისტებს, დერიდას და დეკონსტრუქტივიზმს, ემპათია/აფექტის კვლევებს, ფუკოს და პოსტსტრუქტურალიზმს, მარქსს და მარქსისტულ კრიტიკას, პოსტკოლონიურ კვლევებს, ეთნიკურ კვლევებს, გენდერის თეორიას, ფროიდისეულ ფსიქოანალიტიკურ კრიტიკას, კოგნიტურ ლიტერატურის თეორიას, ევოლუციურ ლიტერატურის თეორიას, კიბერნეტიკას და პოსტჰუმანიზმს.

How to Do Things with Narrative: Cognitive and Diachronic Perspectives**Ed. by Jan Alber, Greta Olson, Birte Christ****რა მოუხერხოთ ნარატივს: კოგნიტური და დიაქრონიული პერსპექტივები****რედაქტორები: იან ალბერი, გრეტა ოლსონი, ბირტე ქრისტი**

გამომცემლობა: De Gruyter, 2018

წიგნში თავმოყრილია ნარატოლოგიური ანალიზი და ნარატიული სტრატეგიების გამოყენების იდეოლოგიური შედეგები. მასში შესული ესეები არ ითვალისწინებს ნარატიულ ხერხებსა და მსოფლმხედველობას შორის რაიმე შინაგანი და მყარი კავშირის დადგენას. აქ უფრო მეტად წარმოდგენილია, რომ მსოფლმხედველობა აუცილებლად გამოხატულია სპეციფიკური ფორმალური სტრატეგიების მეშვეობით. ამგვარ გაგებას ავტორები მიყავს იქამდე, რომ იკვლიონ, თუ რომელი კონკრეტული ნარატიული ხერხი გამოიყენება ამა თუ იმ შემთხვევაში და რატომ.

The Image of Christ in Russian Literature

By John Givens

ჯონ გივენსი

ქრისტეს სახე რუსულ ლიტერატურაში

გამომცემლობა: Northern Illinois University Press, 2018

წიგნში „ქრისტეს სახე რუსულ ლიტერატურაში: დოსტოევსკი, ტოლსტოი, ბულგაკოვი, პასტერნაკი“ ჯონ გივენსი, როჩესტერის უნივერსიტეტიდან, რუსული კლასიკური ლიტერატურის ისეთ ნიმუშებს განიხილავს, როგორცაა: „ძმები კარამაზოვები“ და „ექიმი ჟივაგო“, ასევე, ინგლისურენოვანი მკვითხველისთვის ნაკლებად ცნობილ ტექსტებს, როგორცაა ტოლსტოის „აღდგომა“. ამ და სხვა ტექსტებში, გივენსის აზრით, წარმოდგენილია ქრისტეს აპოფატკური პორტრეტი და გვაჩვენებს, ვინ არ იყო ქრისტე, რითაც ნათელს ფენს იმას, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ქრისტე. მხატვრულ ტექსტებთან ერთად, გივენსი მოიხმობს ისეთ წყაროებს, როგორცაა პირადი მიმოწერები და მნიშვნელოვანი იდეოლოგიური ნაშრომები.